ავტობიოგრაფია

სალომე სამხარაძე

2007 წელს დავამთავრე ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლა. ასევე, 2007 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე. 2011 წელს მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2014 წელს სწავლა განვაგრძე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე. 2016 წელს მომენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2010 წლის 28 აპრილიდან 2011 წლის 10 იანვრამდე, გავიარე სტაჟირების სრული კურსი საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2011 წლის 10 იანვარს, მუშაობა დავიწყე თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის სექტორში სპეციალისტის პოზიციაზე. 2011 წლის 7 სექტემბერს, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის სხდომის მდივნად. 2013 წლის პირველ ოქტომბერს, ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, დავინიშნე მოსამართლის თანაშემწედ. 2016 წლის 5 მაისს, ამავე სასამართლოში, დავინიშნე მოსამართლის თანაშემწედ - მთავარ კონსულტანტად. 2016 წლის 7 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში დავინიშნე მოსამართლის თანაშემწედ.

ამ პერიოდის მანძილზე მუდმივად ვესწრებოდი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსებსა და ლექციებს.

2018 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ხოლო 2019 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2019 წელს ჩავირიცხე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად, 2020 წელს, დავასრულე ამავე სკოლის სრული კურსი.

2020-2021 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტად.

2021 წლის მარტიდან ივნისის თვემდე გავიარე პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

2021 წლის ივნისიდან დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

2024 წლის ივნისიდან მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებული ვარ უვადოდ.

2022-2023 წლებიდან ვარ მოწვეული ლექტორი სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

2026 წლის აპრილის თვიდან, სამოსამართლეო საქმიანობას ვახორციელებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

სალომე სამხარაძე